**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

10 მარტი, 2026 წელი

# ბრძანება №01-02/51

**2026-2027 სასწავლო წელს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში სწავლის დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2026 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-10/3 ურთიერთანამშრომლობის შეთანხმების, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ,,ERASMUS+ საგრანტო პროექტის, ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №07-01/03 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არუშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2026 წლის 05 მარტის №263200 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. 2026-2027 სასწავლო წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2026 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-10/3 ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სემესტრის მანძილზე სწავლის დაფინანსების** (საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების) **მიმღებ ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი პირობები და **ვადები:**

1.1. **კონკურსში მონაწილეობა შეუძლია** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი წლით ადრე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სწავლობს ბსუ-ს საბაკალავრო, სამედიცინო/სტომატოლოგიური, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

1.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის N06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება განხორციელდეს ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით - 2026 წლის **10 მარტიდან - 30 მარტის** ჩათვლით, **15:00 საათამდე;**

1.3. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2026 წლის 31 მარტი - 10:00 საათიდან** (კრიტერიუმები - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-

01/131 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის“ მე-6 მუხლის შესაბამისად);

1.4. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ, გერმანული ან/და ფრანგული ენებში (B1/B2 დონე) - 2026 წლის **03 აპრილი,** 11:00 საათი (ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (შესაბამისი უცხოური ენის B1/B2 ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.5. გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან - 2026 წლის **06 აპრილი, 10:00 – 17:00 საათი;**

1.6. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსათვის - **არაუგვიანეს 2026 წლის 30 აპრილისა;**

1.7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო (შემდეგში - სამინისტრო) საგრანტო კონკურსში შერჩეულ სტუდენტთან გააფორმებს ხელშეკრულებას, სამინისტროს მიერ დამტკიცებული „საბაკალავრო პროგრამის“ ფარგლებში საგრანტო კონკურსის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად (<u>შენიშვნა:</u> ბსუ-ს შორის 2026 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-10/3 ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, სამინისტრო უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუ ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლინდა, რომ სტუდენტი ვერ აკმაყოფილებს ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, ან მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აღმოჩნდა ყალბი).

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

ბ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

გ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

დ) ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის (12.03.2026 წ.-დან) უფროსი/მთავარი სპეციალისტი - <u>კომისიის მდივანი;</u>

ე) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ვ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ზ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ი) ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ნარგიზ ფალავანდიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

მ) მარინა პაქსაძე - აჭარის ა.რ. განათლებისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის N06-01/131 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს

ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**რექტორის მოადგილე სასწავლო და**
**სამეცნიერო მიმართულებით,**
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**